

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:  
(ოქმის № ე 913-21; თარიღი: 1.02.2021)  
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:  
(ოქმის №1; თარიღი:8.02.2021)

### ბიზნესის ადმინისტრირება

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)  
სწავლების ენა: ქართული  
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი  
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413.1.2 ბიზნესის ადმინისტრირება Business Administration  
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of Business Administration  
სწავლის ხანგრძლივობა: 4 სასწავლო წელი, 8 სემესტრი  
საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტი.  
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: აზა იფშირაძე, ასოცირებული პროფესორი (ავილირებული), ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი. საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: +995 599741404; ელ-ფოსტა: [aza.iphshiradze@unik.edu.ge](mailto:aza.iphshiradze@unik.edu.ge) .  
გოჩა თუთბერიძე, პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი. საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.:+995 599 10 00 36; ელ -ფოსტა: [gocha.tutberidze@unik.edu.ge](mailto:gocha.tutberidze@unik.edu.ge)

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საჭიროა:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ნებისმიერი უცხო ენისა და მათემატიკა/ისტორიის წარმატებით ჩაბარება და ქუთაისის უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვება;

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლებელია პროგრამაზე სტუდენტის მიღება

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე; პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩარიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე.
2. შიგა და გარე მობილობით. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

## პროგრამის აქტუალობა

თანამედროვე საქართველოს სწრაფი განვითარება და ეკონომიკური წინსვლა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბიზნეს საქმიანობის გააქტიურებაზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველყოთ მოსახლეობის სოციალური ფონის გაუმჯობესება, დასაქმების მაჩვენებლის ზრდა, ახალგაზრდების დამაგრება და სხვ.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების კვალდაკვალ ორგანიზაციათა ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესისათვის პროფესიონალი კადრების მომზადება. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების ამოცანას წარმოადგენს იმ ადამიანების პროფესიონალური განათლება და მომზადება, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქმნიან, ხელს უწყობენ და მართავენ ორგანიზაციებსა და მიზნად ისახვენ ეფექტიანობის და/ან მოგების მიღებას, მათთვის მისაღები შემოსავლიანობის, ვადიანობისა და რისკიანობის პირობებში.

ამდენად, მაღალკვალიფიციური, ეთიკური და სტრატეგიულად მოაზროვნე კადრების მომზადებით ჩვენ ვცდილობთ ხელი შევეწყოთ საქართველოში ცივილიზებული, კონკურენტუნარიანი ბიზნესის ჩამოყალიბებას, ე.ი. ქვეყნის ძლიერების და განვითარების საფუძვლის შექმნას.

## პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნებია სტუდენტს:

1. მისცეს ფართო თეორიული ცოდნა ბიზნეს-საქმიანობისა და მისი ფუნქციონალური სფეროების შესახებ;
2. გამოუმუშაოს ცვალებად გარემოში მიმდინარე პროცესების შეფასებისა და კრიტიკულად გააზრების შესაძლებლობა;
3. განუვითაროს სხვადასხვა დონის მენეჯმენტისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, რაც შეესაბამება ფინანსური, მარკეტინგული, ბუღალტრული და სხვა ფუნქციების ეფექტიან შესრულებას;
4. განუვითაროს ღირებულებები და დამოკიდებულება, რაც უზრუნველყოფს მის ჩამოყალიბებას კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ, ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებად;
5. შეუქმნას პირობა, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

## სწავლის შედეგები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:

### ცოდნა და გაცნობიერება

- I. ბიზნეს სფეროს კომპლექსური თეორიული საკითხების აღწერას და ბიზნეს-საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას;
- II. იმ შიდა და გარე ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს-სუბიექტის განვითარებაზე თანამედროვე სოციალ-ეკონომიკურ გარემოში;

### უნარი

- III. ცვალებად გარემოში მიმდინარე პროცესების კრიტიკულ შეფასებას და რაციონალურ გადაწყვეტილებათა მიღებას;

- IV. პროექტების მართვის ინსტრუმენტების გამოყენებას სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის;
- V. ბიზნეს-სუბიექტის ეკონომიკური ოპერაციების სწორ აღრიცხვას, საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და სხვადასხვა ნორმების მოთხოვნების შესაბამისად;
- VI. თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით ეფექტური გაყიდვების ორგანიზებას;
- VII. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საჭირო ინფორმაციის (მ.შ. უცხოენოვანი) მოძიება-დამუშავებას და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას ბიზნესის დაგეგმვისა და ადმინისტრირებისათვის;

#### **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- VIII. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გაზიარებას და საკუთარი ღირებულებებისა და ძირითადი პრინციპების დემონსტრირებასა და დაცვას (მ.შ. უცხო ენაზე);
- IX. დამოუკიდებლად განსაზღვროს კონკრეტულ დარგში მისთვის სასურველ სემინტზე შემდგომი განვითარების შესაძლებლობა საკუთარი ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით.

*საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. დანართი №1).*

*საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა (იხ. დანართი №2).*

### **სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები**

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების განხორციელების პროცესში გამოიყენება შემდეგი სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები:

- **ლექცია**-პირდაპირი სწავლების პროცესია, რომლის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს კონკრეტული თემის მიმართ მეცნიერული მიდგომები, შეთავაზოს პრობლემის გადაწყვეტის სამეცნიეროპრაქტიკული გზები. ლექცია იძლევა მთლიან, სისტემატიზირებულ, მტკიცებულებით წარმოდგენას ამა თუ იმ პრობლემაზე და უზრუნველყოფს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას, გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ლექცია ემსახურება სტუდენტის კოგნიტური უნარების განვითარებას, ცოდნის აკუმულაციას და სისტემატიზებას. პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებში ყოველი ახალი თემა იწყება ლექციით, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა (თუ მეცადინეობის სხვა ფორმა) ახალი მასალის სათანადოდ გააზრებასა და ცოდნის განმტკიცებაზეა ორიენტირებული. ამიტომ სწავლების შემდეგი ეტაპის შედეგები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ლექციის ხარისხზე. თეორიული მეცადინეობები წარიმართება, უპირატესად, სოკრატული, დიდაქტიკური, პრობლემაზე ორიენტირებული და სხვა ინტერაქტიური მეთოდებით. სტუდენტებს სასწავლო მასალა მიეწოდება სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო კურსის სილაბუსის გეგმის შესაბამისად. თეორიული ლექციები წარიმართება, უპირატესად, საპრეზენტაციო მასალების

გამოყენებით. ამასთან, ფაქტები, მაგალითები, სქემები, დიაგრამები, გრაფიკები და სხვა თვალსაჩინოებანი ემსახურება ლექციის იდეის ახსნას.

- **სამუშაო ჯგუფში მუშაობა**--ფორმატი სტუდენტების ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობა წარმართება სასწავლო კურსების სილაბუსებში კონკრეტული თემატიკის დაუფლების მიზნით გაწერილი სასწავლო აქტივობების (ქეისების, პრობლემური სიტუაციების განხილვა; დისკუსიის, დებატების, როლური/სიმულაციური თამაშების გამართვა; საშინაო დავალების განხილვა, სხვ.) გამოყენებით. სამუშაო ჯგუფში მუშაობის მიზანია ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება, პრაქტიკული ხასიათის აქტივობების განხორციელებით სტუდენტთა ცოდნის განმტკიცება და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარჩვევათა განვითარება
- **პრაქტიკული მუშაობა**- როდესაც სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს აქტივობებს: პრაქტიკულ დავალებებს, საველე სამუშაოებს და სხვა.
- **ელექტრონული რესურსით სწავლება**;-გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით,სწავლების პროცესის კომპეტენციის (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვა) რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით.

#### სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს:

- **დისკუსია-დებატები**- ინტერაქტიური სწავლების მეთოდი, სტუდენტთა ჩართულობის ხარისხისა და აქტივობის ასამდლებლად, რომელიც მათ საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გამოთქმის, სხვისი აზრის მოსმენისა და კამათის უნარებს უვითარებს.
- **დემონსტრირება**-გულისხმობს ინფორმაციის აუდიო თუ ვიზუალურად წარმოდგენას. მასალის დემონსტრირება შესაზღვრებელია მოხდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ.მეთოდი ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/ პრობლემის არსს, თვალსაჩინოს ხდის სასწავლო მასალას და ეხმარება სტუდენტს იმის აღქმაში, თუ რისი შესრულება მოუწევთ მათ დამოუკიდებლად.
- **პრეზენტაცია** - ითვალისწინებს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რომლის დროსაც სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალები წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუ. პრეზენტაციები შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - როდესაც ლექტორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზეგანხილავს კონკრეტულ შემთხვევებს,რომელიც განხილული საკითხის ყოველმხრივ და საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას იძლევა.სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარები

*პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას (იხ. დანართი №3).*

*საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ინდიკატორები, შეფასების დონეები და რუბრიკები, ასევე, შედეგების შეფასების პერიოდულობა განსაზღვრულია დანართით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (იხ. დანართი №4).*

### პროგრამის მოცულობა

**პროგრამის ხანგრძლივობა** - 4 სასწავლო წელი, 8 სემესტრი.

**კრედიტების რაოდენობა** - 240 ECTS კრედიტი

**1 ECTS კრედიტი** - 25 -სთ, რომელიც მოიცავს სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი შეფასებისთვის, ასევე საშინაო დავალების მომზადებისთვის განკუთვნილ დროს.)

სემესტრის განმავლობაში სტუდენტს უნივერსიტეტი თავაზობს მინიმუმ 30 კრედიტის (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტის ათვისების შესაძლებლობას, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წლიურად კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა;

### პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პროგრამის ნორმატიული ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს.

პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 130 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 60 კრედიტი;

*საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია დანართით პროგრამის სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №5).*

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით. შეფასება უნდა იყოს, როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე მაფორმირებელი (უკუკავშირის მიმცემი).

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით - შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შეფასების ფორმები შეიცავს შეფასების კომპონენტებს - შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც

შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერილითი გამოცდა, ზეპირი/წერილითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.).

შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ.);

შეფასების ფორმებია - შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

შუალედური შეფასება – 60 ქულა;

დასკვნითი შეფასება- - 40 ქულა;

სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების უდიდესი შესაძლებელი ქულაა 100 ქულა, აქედან დასკვნით შეფასებაზე მოდის 40 ქულა, შუალედურ შეფასებაზე - 60 ქულა, რომელსაც შუალედური შეფასების სხვადასხვა კომპონენტზე სპეციფიკის შესაბამისად ანაწილებს სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირი.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები: შუალედური შეფასების 42% და დასკვნითი შეფასების 40%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები: მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედური შეფასებისათვის შეადგენს 42%-ს (25 ქულა), ხოლო დასკვნითი გამოცდისათვის კი 50%+1-ს (21 ქულა).

შეფასების გრადაცია:

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი

შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

### პრაქტიკის შეფასება

პრაქტიკის შეფასება რეგულირდება შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 21/10/2020 წლის N 69 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესით“. შეფასების დეტალები განსაზღვრულია პრაქტიკის სილაბუსით.

### ნაშრომის შეფასება

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება რეგულირდება შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №55 ბრძანებით დამტკიცებული საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი” მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება. შეფასების დეტალები განსაზღვრულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით.

### დასაქმების სფერო

- ნებისმიერი საწარმოს მართვის ქვედა და საშუალო დონეებზე საჯარო თუ კერძო სექტორებში;
- ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში;
- კომპანიის დირექტორატის ოფისებში, ოპერაციულ მენეჯმენტში, მარკეტინგსა და გაყიდვებში, კადრების მართვაში, ფინანსებში, ბუღალტერიაში, ადმინისტრაციაში, მართვის საინფორმაციო სისტემებსა და ბიზნესის სხვა ფუნქციონალურ სფეროებში
- საჯარო დაწესებულებებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ეკონომიკური მიმართულების სტრუქტურულ ერთეულებში;
- საკონსულტაციო ცენტრებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმოადგენლობებში;

### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე- მაგისტრატურაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სასწავლო კურსებისთვის (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის) გამოყოფილია 18 აუდიტორია (მათგან ერთი აუდიტორია იტევს -100 სტუდენტს, 3 აუდიტორია - 40 სტუდენტს, 2 აუდიტორია - 35 სტუდენტს, 3



აუდიტორია - 30 სტუდენტს, 5 აუდიტორია - 20 სტუდენტს, 4 აუდიტორია - 15 სტუდენტს). ასევე უნივერსიტეტში მოწყობილია ორი კომპიუტერული საგამოცდო აუდიტორია 30-30 კომპიუტერით. უნივერსიტეტში შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემო, კერძოდ ფუნქციონირებს ლიფტი, რომლითაც სარგებლობენ სტუდენტები, ასევე აკადემიური პერსონალი. შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსები, ასევე პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შენობის მიმდებარედ არსებობს ავტოსადგომი, საიდანაც შეუფერხებლად არის შესაძლებელი შენობამდე მისვლა. აუდიტორიები, საგამოცდო ოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო კურსების განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით, რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის საშუალებას იძლევა.

ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის ხელის შეწყობის მიზნით, არსებული საბიბლიოთეკო რესურსების მობილიზება, ხოლო განახლებული ლიტერატურის შექმნა მოახდინა. საბიბლიოთეკო ფონდი აღჭურვილია, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სახელმძღვანელოების ბეჭდური და ელექტრონული ვერსიებით.

საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობისა და ასევე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა თუ სტუდენტებისათვის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ხელის შეწყობის მიზნით, ბიბლიოთეკამ წვდომა მოიპოვა სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე საბიბლიოთეკო კონსორციუმთან დადებული ხელშეკრულების საუძველზე. ბაზები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ესენია:

Cambridge Journals Online, არის მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებულ 190 ჟურნალს შემდეგ სფეროებში: ამერიკანიზმი; არქეოლოგია და ანთროპოლოგია; აფრიკის, აზიისა და ევროპის მცოდნეობა; ბიზნესი; ბიოლოგია, საინჟინრო მეცნიერებები; ხელოვნების მეცნიერების ისტორია; კომპიუტერული მეცნიერება; მათემატიკა; მეცნიერება დედამიწაზე; ეკოლოგიური სამართალი; თეოლოგია, სოფლის მეურნეობა; სოციოლოგია, ფილოსოფია, ეკონომიკა; ლინგვისტიკა და ფილოლოგია.

Edward Elgar Publishing Journals and Development Studies, e-books, წარმოდგენილია ჟურნალები ჰუმანიტარული და ეკონომიკური მიმართულების შესახებ. წიგნები საჯარო და სოციალური მმართველობის, კორპორაციული მართვის, მიგრაციის, ინფრასტრუქტურის განვითარების, ინტელექტუალური საკუთრების კვლევათა შესახებ.

SAGE Journals, წარმოდგენილია სამეცნიერო სტატიები ჰუმანიტარული, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მედიცინის სფეროდან.

Royal Society Journals Collection, წარმოდგენილია: ბიოლოგიურ მეცნიერებები, ფიზიკა, მათემატიკა და მათი მომიჯნავე დისციპლინები.

ასევე შემდეგი ბაზები, რომლებზე წვდომა აქვს უნივერსიტეტს, აკადემიურ პერსონალსა თუ ახალგაზრდა მკვლევარებს აძლევს პუბლიკაციების გამოქვეყნების საშუალებას, ღია წვდომის ელექტრონულ რესურსებში. SACE APCs for open Access Journals, De Gruyter APCs for open access





publishing, Edward Elgar Publishing APCs for open access publishing, Taylor and Francis APCs for open access journals.




ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საფუძველზე, საწარმოო პრაქტიკას სტუდენტები გადიან შემდეგ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში:

- 1.სასტუმრო „ბაგრატი 1003“.
- 2.ინდ მეწარმე მადონა მამასახლისი( სასტუმრო);
3. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო;
4. სს ბაზის ბანკი;
- 5.შპს ბუტიკი ქუთაისი (სასტუმრო);
6. ააიპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია.

### პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კომპეტენცისა და გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია პროგრამის დანართით #6.

**შენიშვნა:** საგანმანათლებლო პროგრამის დანართები წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:  ა.იფშირაძე  
პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი:  გ.თუთბერიძე  
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:  თ.ხარაიაძე



საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #2

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

H (high) – მაღალი  
M (medium) – საშუალო  
პრაქტიკა  
L (low) – დაბალი  
სრულყოფა

ან, I = გაცნობა  
R = გაღრმავება

ან, I - წარდგენა  
P -

E = განმტკიცება

M -

პროგრამის კომპონენტი	სწავლის შედეგები								
	სწავლის შედეგი I	სწავლის შედეგი II	სწავლის შედეგი III	სწავლის შედეგი IV	სწავლის შედეგი V	სწავლის შედეგი VI	სწავლის შედეგი VI I	სწავლის შედეგი VI II	სწავლის შედეგი IX
ბიზნეს ინგლისური I							I	I	
ბიზნეს ინგლისური II							I	I	
ბიზნეს ინგლისური III							P	P	
ბიზნეს ინგლისური IV							P	P	
ბიზნესის საფუძვლები	I	I							
ეკონომიკის პრინციპები 1	I	I	I						
ეკონომიკის პრინციპები 2	P	P	P						
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები		I			I				
ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები		P	P		P				
მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები		P	P	P	P				
ეკონომიკური ანალიზი		M	M	M			M		
ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	I	I							
გადასახადები			P		P			P	
მეწარმეობა		P	P				I	P	
საბანკო საქმე	P		P			P			

კორპორაციული ფინანსები		M	M				M		
ბიზნეს სტატისტიკა	M						M	M	
მენეჯმენტის საფუძვლები	I	I	I						
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი		P	P					P	
პროექტების მენეჯმენტი		M	M	M			M	M	
მარკეტინგის საფუძვლები		I	I				I		
გაყიდვების მართვა			M			M	M	M	
ბიზნეს სამართალი		I						I	
ბიზნეს პრაქტიკუმი		P			P		P		
პროფესიული პრაქტიკა		M	M					M	M
საბაკალავრო ნაშრომი		M		M			M	M	M
აკადემიური წერის საფუძვლები									I
მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1			I						
მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1 (ინტენსიური)			I						
მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2			P						
ინფორმაციის დამუშავება თანამედროვე ოფისში						I	I		
სოციალური ფსიქოლოგია						I			

**შენიშვნა:** ცხრილში შესაძლებელია მიეთითოს შეფასების მეთოდები, რომლის მეშვეობითაც მოწმდება თუ რამდენადაა მიღწეული სწავლის შედეგები, ან შესაძლებელია აღნიშნული ინფორმაცია მიეთითოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #4). ცხრილში მითითებული შეფასების ისეთი მეთოდი, რომელიც მაღალი ხარისხით უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებას, სავალდებულოა შესაბამის სასწავლო კურსში მითითებული იყოს იმ დოზით, რომ შესაძლებელი იყოს სწავლის შედეგის მიღწევის სწორად შეფასება.

პროგრამის თითოეული სავალდებულო კომპონენტი უნდა გადიოდეს მინიმუმ ერთ სწავლის შედეგზე მაინც.

სწავლებისა და სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა

H (high) – მაღალი  
M (medium) – საშუალო  
L (low) – დაბალი

სწავლებისა და სწავლის მეთოდები / აქტივობები	სწავლის შედეგები								
	სწავლის შედეგ I	სწავლის შედეგ II	სწავლის შედეგ III	სწავლის შედეგ IV	სწავლის შედეგ V	სწავლის შედეგ VI	სწავლის შედეგ VII	სწავლის შედეგ VIII	სწავლის შედეგ IX
ლექცია	M	M	M	M	M	M	M	L	L
სამუშაო ჯგუფში მუშაობა	M	M	M	M	L	H	M	L	L
პრაქტიკული მუშაობა	M	M		M	H		M		M
ელექტრონული რესურსით სწავლება	M	L			M	M	H		M
დისკუსია / დებატები	H	M	M	M	L	M			M
დემონსტრირება	H	M		H	H	M			M
შემთხვევის ანალიზი (Casa study)	M	M	H	M	M	H		M	H
პრეზენტაცია	H	H	H	H		M	H		

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

სწავლის შედეგი I: შეძლებს ბიზნეს სფეროს კომპლექსური თეორიული საკითხების აღწერას და ბიზნეს-საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას.

შეფასების ინდიკატორები:

1. აღწერს თუ როგორ იგეგმება, ორგანიზდება და ვითარდება ბიზნეს-პროცესები თანამედროვე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გლობალურ გარემოში.
2. ხსნის თუ როგორ იღებენ ფირმები გადაწყვეტილებებს მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებში ინვესტირებისათვის.
3. აღწერს რა თავისებურებებით ხასიათდება ცალკეულ შემთხვევაში ბიზნეს გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი დასაბუთებით.
4. აღწერს ეკონომიკის ძირითად კანონზომიერებებს და მათ გავლენას ბიზნეს გარემოზე

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორები	შეფასების დონეები				
	სრულიად არ აკმაყოფილებს	არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	სრულიად აკმაყოფილებს
შეფასების ინდიკატორი I	სტუდენტი ვერ აღწერს თუ როგორ იგეგმება, ორგანიზდება და ვითარდება ბიზნეს-პროცესები თანამედროვე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გლობალურ გარემოში	სტუდენტის უჭირს აღწეროს თუ როგორ იგეგმება, ორგანიზდება და ვითარდება ბიზნეს-პროცესები თანამედროვე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გლობალურ გარემოში	სტუდენტი ნაწილობრივ აღწერს თუ როგორ იგეგმება, ორგანიზდება და ვითარდება ბიზნეს-პროცესები თანამედროვე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გლობალურ გარემოში	სტუდენტი მეტწილად აღწერს თუ როგორ იგეგმება, ორგანიზდება და ვითარდება ბიზნეს-პროცესები თანამედროვე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გლობალურ გარემოში	სტუდენტი სრულად აღწერს თუ როგორ იგეგმება, ორგანიზდება და ვითარდება ბიზნეს-პროცესები თანამედროვე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გლობალურ გარემოში
შეფასების ინდიკატორი II	სტუდენტი ვერ ხსნის თუ როგორ იღებენ ფირმები გადაწყვეტილებებს	სტუდენტს უჭირს ახსნა თუ როგორ იღებენ ფირმები	სტუდენტი ნაწილობრივ ხსნის თუ როგორ იღებენ ფირმები	სტუდენტი მეტწილად ხსნის თუ როგორ იღებენ ფირმები	სტუდენტი სრულად ხსნის თუ როგორ იღებენ ფირმები

	ბებს მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებში ინვესტირების ათვის	გადაწყვეტილ ბებს მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებში ინვესტირების ათვის	გადაწყვეტილ ბებს მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებში ინვესტირების ათვის	გადაწყვეტილ ბებს მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებში ინვესტირების ათვის	ფირმები გადაწყვეტილ ბებს მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებში ინვესტირების ათვის
შეფასების ინდიკატორი III	სტუდენტი ვერ აღწერს რა თავისებურებებით ხასიათდება ცალკეულ შემთხვევაში ბიზნეს გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი დასაბუთებით	სტუდენტს უჭირს აღწეროს რა თავისებურებებით ხასიათდება ცალკეულ შემთხვევაში ბიზნეს გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი დასაბუთებით	სტუდენტი ნაწილობრივ აღწერს რა თავისებურებებით ხასიათდება ცალკეულ შემთხვევაში ბიზნეს გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი დასაბუთებით	სტუდენტი მეტწილად აღწერს რა თავისებურებებით ხასიათდება ცალკეულ შემთხვევაში ბიზნეს გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი დასაბუთებით	სტუდენტი სრულად აღწერს რა თავისებურებებით ხასიათდება ცალკეულ შემთხვევაში ბიზნეს გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი დასაბუთებით
შეფასების ინდიკატორი IV	სტუდენტი ვერ აღწერს ეკონომიკის ძირითად კანონზომიერებებს და მათ გავლენას ბიზნეს გარემოზე	სტუდენტს უჭირს ეკონომიკის ძირითად კანონზომიერებებს აღწერა და მათი გავლენა ბიზნეს გარემოზე	სტუდენტი ნაწილობრივ აღწერს ეკონომიკის ძირითად კანონზომიერებებს და მათ გავლენას ბიზნეს გარემოზე	სტუდენტი მეტწილად აღწერს ეკონომიკის ძირითად კანონზომიერებებს და მათ გავლენას ბიზნეს გარემოზე	სტუდენტი სრულად აღწერს ეკონომიკის ძირითად კანონზომიერებებს და მათ გავლენას ბიზნეს გარემოზე

სასწავლო კურსები	შეფასების ინდიკატორები			
	აღწერს თუ როგორ იგეგმება, ორგანიზდება და ვითარდება ბიზნეს-პროცესები თანამედროვე	ხსნის თუ როგორ იღებენ ფირმები გადაწყვეტილებებს მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებში	აღწერს რა თავისებურებებით ხასიათდება ცალკეულ შემთხვევაში ბიზნეს	აღწერს ეკონომიკის ძირითად კანონზომიერებებს და მათ გავლენას

	პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გლობალურ გარემოში.	ინვესტირებისათვის.	გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი დასაბუთებით.	ბიზნეს გარემოზე
სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				
ბიზნესის საფუძვლები	ტესტი ; ამოცანების ამოხსნა (დასკვნითი გამოცდა)	ტესტი; ამოცანების ამოხსნა (დასკვნითი გამოცდა)	ტესტი ამოცანების ამოხსნა (დასკვნითი გამოცდა)	
ეკონომიკის პრინციპები 1				თეორიული საკითხები (დასკვნითი გამოცდა)
ბიზნეს პრაქტიკუმი		ტესტი; ამოცანების ამოხსნა (დასკვნითი გამოცდა)	ტესტი; ამოცანების ამოხსნა. (დასკვნითი გამოცდა)	
მეწარმეობა		ღია ტესტი (დასკვნითი გამოცდა)	ღია ტესტი (დასკვნითი გამოცდა)	
საბანკო საქმე		პროექტი ტესტები (დასკვნითი გამოცდა)		

**სწავლის შედეგი II:** იმ შიდა და გარე ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს-სუბიექტის განვითარებაზე თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში.

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ახდენს იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის იდენტიფიცირებას, რომელიც საჭიროა ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემებისა და ამოცანის გადასაწყვეტად.
2. ერთმანეთს უკავშირებს იმ მონაცემებს, რომელიც საჭიროა მენეჯერული გადაწყვეტილების მისაღებად
3. არჩევს ბიზნეს სამართლის სუბიექტთა სამართლებრივი ურთიერთობების მნიშვნელოვან საკითხებს პრაქტიკული საქმიანობის ეტაპზე.
4. ახდენს ბიზნეს-პროცესების მდგომარეობა/განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიცირებას.



ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორები	შეფასების დონეები				
	სრულიად არ აკმაყოფილებს	არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	სრულიად აკმაყოფილებს
შეფასების ინდიკატორი I	სტუდენტი ვერ ახდენს იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის იდენტიფიცირებას, რომელიც საჭიროა ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემებისა და ამოცანის გადასაწყვეტად	სტუდენტს უჭირს იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის იდენტიფიცირებას, რომელიც საჭიროა ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემებისა და ამოცანის გადასაწყვეტად	სტუდენტი ნაწილობრივ ახდენს იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის იდენტიფიცირებას, რომელიც საჭიროა ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემებისა და ამოცანის გადასაწყვეტად	სტუდენტი მეტწილად ახდენს იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის იდენტიფიცირებას, რომელიც საჭიროა ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემებისა და ამოცანის გადასაწყვეტად	სტუდენტი სრულად ახდენს იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის იდენტიფიცირებას, რომელიც საჭიროა ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემებისა და ამოცანის გადასაწყვეტად
შეფასების ინდიკატორი II	სტუდენტი ერთმანეთს ვერ უკავშირებს იმ მონაცემებს, რომელიც საჭიროა მენეჯერული გადაწყვეტილების მისაღებად	სტუდენტს უჭირს ერთმანეთთან დაკავშირება იმ მონაცემებისა, რომელიც საჭიროა მენეჯერული გადაწყვეტილების მისაღებად	სტუდენტი ნაწილობრივ უკავშირებს ერთმანეთს იმ მონაცემებს, რომელიც საჭიროა მენეჯერული გადაწყვეტილების მისაღებად	სტუდენტი მეტწილად უკავშირებს ერთმანეთს იმ მონაცემებს, რომელიც საჭიროა მენეჯერული გადაწყვეტილების მისაღებად	სტუდენტი სრულად უკავშირებს ერთმანეთს იმ მონაცემებს, რომელიც საჭიროა მენეჯერული გადაწყვეტილების მისაღებად
შეფასების ინდიკატორი III	სტუდენტი ვერ არჩევს ბიზნეს სამართლის სუბიექტთა სამართლებრივი ურთიერთობე	სტუდენტს უჭირს არჩევს ბიზნეს სამართლის სუბიექტთა სამართლებრივი ურთიერთობე	სტუდენტი ნაწილობრივ არჩევს ბიზნეს სამართლის სუბიექტთა სამართლებრივი	სტუდენტი მეტწილად არჩევს ბიზნეს სამართლის სუბიექტთა სამართლებრივი ურთიერთობე	სტუდენტი სრულად არჩევს ბიზნეს სამართლის სუბიექტთა სამართლებრივი ურთიერთობე

	ბის მნიშვნელოვან საკითხებს პრაქტიკული საქმიანობის ეტაპზე	ბის მნიშვნელოვანი საკითხების გარჩევა პრაქტიკული საქმიანობის ეტაპზე	ურთიერთობე ბის მნიშვნელოვან საკითხებს პრაქტიკული საქმიანობის ეტაპზე	ბის მნიშვნელოვან საკითხებს პრაქტიკული საქმიანობის ეტაპზე	ბის მნიშვნელოვან საკითხებს პრაქტიკული საქმიანობის ეტაპზე
შეფასების ინდიკატორი IV	სტუდენტი ვერ ახდენს ბიზნეს-პროცესების მდგომარეობა/ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიცირებას	სტუდენტს უჭირს ბიზნეს-პროცესების მდგომარეობა/ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიცირება	სტუდენტი ნაწილობრივ ახდენს ბიზნეს-პროცესების მდგომარეობა/ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიცირებას	სტუდენტი მეტწილად ახდენს ბიზნეს-პროცესების მდგომარეობა/ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიცირებას	სტუდენტი სრულად ახდენს ბიზნეს-პროცესების მდგომარეობა/ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიცირებას

სასწავლო კურსები	შეფასების ინდიკატორები			
	ახდენს იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის იდენტიფიცირებას, რომელიც საჭიროა ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემებისა და ამოცანის გადასაწყვეტად.	ერთმანეთს უკავშირებს იმ მონაცემებს, რომელიც საჭიროა მენეჯერული გადაწყვეტილების მისაღებად	არჩევს ბიზნეს სამართლის სუბიექტთა სამართლებრივი ურთიერთობები ს მნიშვნელოვან საკითხებს პრაქტიკული საქმიანობის ეტაპზე.	ახდენს ბიზნეს-პროცესების მდგომარეობა/ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიცირებას.
	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები			
ბიზნეს პრაქტიკუმი	ტესტი; ამოცანების ამოხსნა (დასკვნითი გამოცდა)	ტესტი; ამოცანების ამოხსნა (დასკვნითი გამოცდა)		
ბიზნეს სამართალი			ტესტი; თეორიული საკითხები	

			(დასკვნითი გამოცდა)	
მენეჯმენტის საფუძვლები		ტესტი; თეორიული საკითხები. (დასკვნითი გამოცდა)		
კოპორაციული ფინანსები	ამოცანების ამოხსნა; ტესტი (დასკვნითი გამოცდა)			ამოცანების ამოხსნა; ტესტი(დასკვნითი გამოცდა)
ბიზნეს სტატისტიკა				რეფერატი თეორიული საკითხები.(დასკვნითი გამოცდა)
ეკონომიკური ანალიზი		პრაქტიკული ამოცანა; თეორიული საკითხები;(დასკვნითი გამოცდა)		პრაქტიკული ამოცანა თეორიული საკითხები (დასკვნითი გამოცდა)
ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	ტესტი (დასკვნითი გამოცდა)			
ეკონომიკის პრინციპები 2	თეორიული საკითხები დასკვნითი გამოცდა)			
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი		ტესტი თეორიული საკითხები (დასკვნითი გამოცდა)		

**სწავლის შედეგი III:** ცვალებად გარემოში მიმდინარე პროცესების კრიტიკულ შეფასებას და რაციონალურ გადაწყვეტილებათა მიღებას.

**შეფასების ინდიკატორები:**

